



ვამტკიცებ
ბრძ. N01-14; 22.04.2026წ
შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორი
ი. მანაშერიძე ი. მანაშერიძე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ენერგომენეჯმენტი

საკონტაქტო: თბილისი, ქსანის ქ. 30
ელ.ფოსტა: info@inrerbusiness.edu.ge
ტელ: 261 54 23; 260 54 23.

პროგრამის ხელმძღვანელი: ნათია ქსოვრელი

თბილისი

2026 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - ენერგომენეჯმენტი; Energy Management
2. სარეგისტრაციო ნომერი - 07.8.1
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ენერგომენეჯმენტში; Higher Vocational Qualification in Energy Management
4. მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.
5. კვალიფიკაციის დონე
- 5.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) – დონე 5
6. კლასიფიკაციის აღწერა
- 6.1 ISCED კოდი და აღწერა - 0712 გარემოს დაცვის ტექნოლოგია - შეისწავლის გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, ასევე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების პროცესებს. იგი მოიცავს ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ა.შ. კონტროლთან დაკავშირებულ პროგრამებს;
- 6.2 ISCO კოდი: 1321 წარმოების მენეჯერები;
- 6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი - 35 ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება
7. დასაქმების შესაძლებლობები - ენერგომენეჯერი შეიძლება დასაქმდეს ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის მოთხოვნების აღსრულებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელ საერთაშორისო, ცენტრალურ ან ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სააგენტოებში; ენერგიის მწარმოებელ, გადამცემ და გამანაწილებელ ენერგეტიკულ კომპანიებში; კუთვნილების მიუხედავად, ნებისმიერი ტიპის ენერგიის მომხმარებელ სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საწარმოებში; საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებში; დამოუკიდებელ აუდიტორებად და ინსპექტორებად; კვლევით ორგანიზაციებში, სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ინსტიტუტებში, რომლებიც ორიენტირებული არიან ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარებაზე; ენერგოეფექტურობის სპეციალისტების მომზადებაზე და გადამზადებაზე, როგორც მენტორები, ინსტრუქტორები ან ტექნიკური ექსპერტები
8. დაშვების წინაპირობა
- 8.1 სრული ზოგადი განათლება;
- 8.2 ასაკი არანაკლებ 18 წელი

9. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- 9.1. აღწეროს და გამოიყენოს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ტექნიკური ნორმები
- 9.2. გააანალიზოს და შეაფასოს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ობიექტების საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების ენერგოეფექტურობა
- 9.3. განსაზღვროს შენობების ენერგოეფექტურობა
- 9.4. შეაფასოს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების შესაძლებლობები და ეფექტიანობა
- 9.5. უზრუნველყოს ენერგიის სამომხმარებლო მოთხოვნილების მართვა
- 9.6. გააანალიზოს და შეაფასოს სამიზნე ჯგუფების ინტერესები და საჭიროებები

10. სწავლის შედეგების დეტალური აღწერა

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	საკვანძო კომპეტენციები							
			მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია	უცხო ენაზე კომუნიკაცია	მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში	ციფრული კომპეტენცია	დამოუკიდებლად სწავლის უნარი	პრობლემათშორისი და მოქალაქობრივი კომპეტენციები	მეწარმეობა	კულტურული გამოიმეტველობა
1.ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ტექნიკური ნორმები	1.1. ეცნობა და აფასებს ქვეყანაში მოქმედ, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო დარგობრივი ორგანიზაციების მიერ მომზადებულ შესაბამის საკანონმდებლო-მარეგულირებელი დოკუმენტებს; 1.2. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საკანონმდებლო-მარეგულირებელი	1.1. იცის ქვეყნის დარგობრივი ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპები და შესაბამისი ინსტიტუციების უფლება-მოვალეობები; 1.2. იცის და პერიოდულად აახლებს ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო დარგობრივი ორგანიზაციების რუკას; 1.3. იცის ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო	□					□		

	დოკუმენტების მომზადების პროცესში და ამზადებს შენიშვნებსა და წინადადებებს მათი სრულყოფის მიზნით; 1.3. იყენებს თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს 1.4. იყენებს ქვეყანაში მოქმედ, ნორმატიულ აქტებს, სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტებს, სამოქმედო გეგმებს, კანონებს, კანონქვემდებარე აქტებს, სტანდარტებს, ტექნიკურ ნორმებს და რეგლამენტებს;	დარგობრივი ორგანიზაციების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტები და სახელმძღვანელო მითითებები; 1.4. იცის თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, ქვეყანაში მოქმედი, ნორმატიული აქტები, სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტები, სამოქმედო გეგმები, კანონები, კანონქვემდებარე აქტები, სტანდარტები, ტექნიკური ნორმები და რეგლამენტები და ცვლილებების მომზადების პრინციპები.									
2. სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ობიექტების საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების ენერგოეფექტურობის ანალიზი და შეფასება	2.1 აფასებს გათბობა, ვენტილაცია, ცხელწყალმომარაგება და კონდიციონერების სისტემების პროექტების, ტექნიკური აღჭურვილობების საპასპორტო მონაცემებისა და საექსპლუატაციო რეჟიმების ენერგოეფექტურობაზე გავლენას; 2.2 აღწერს ძრავების, ტუმბოების და დაჭირხნული ჰაერის სისტემების პროექტების, ტექნიკური აღჭურვილობების	2.1 იცის გათბობის, ვენტილაციის, ცხელწყალმომარაგების და კონდიციონერების სისტემების მიერ მოხმარებული ენერგიის გაზომვის მიზნით, შესაბამისი ხელსაწყოების გამოყენებით ანათვლების აღება, ენერგეტიკული მახასიათებლების გამოთვლა, მათი ენერგოეფექტურობაზე გავლენის შეფასების მეთოდები; 2.2 იცის ძრავების, ტუმბოების და დაჭირხნული	□			□					

5

	2.6 აფასებს ენერგიისა და წყლის მოხმარების შედეგად ატმოსფეროში ნახშირორჟანგისა და სხვა სათბური აირების გამოყოფის რაოდენობრივ მაჩვენებლებს.	რეჟიმების ენერგოეფექტურობაზე გავლენის შეფასება; 2.7 იცის სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საინჟინრო ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემ(ებ)ის სამუშაო ციკლის ჯამური ენერგომოთხოვნილების გამოთვლის პრინციპები; 2.8 იცის ენერგეტიკული დანადგარების მუშაობის პროცესში გამოყოფილი სათბური აირების რაოდენობის გამოთვლის მეთოდები								
3. შენობების ენერგოეფექტურობა	3.1 შენობების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად ადგენს ახალი, მშენებარე და ექსპლუატაციაში მყოფი შენობის გარსის შემადგენელი, ენერგოეფექტურობაზე გავლენის მქონე ელემენტების ინდივიდუალურ და ჯამურ ენერგეტიკულ მახასიათებლებს; 3.2 ერთმანეთს ადარებს ახალი, მშენებარე და ექსპლუატაციაში მყოფი შენობის გარსის შემადგენელი,	3.1 იცის შენობების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად, ახალი, მშენებარე და ექსპლუატაციაში მყოფი შენობის გარსის შემადგენელი, ენერგოეფექტურობაზე გავლენის მქონე ელემენტების ინდივიდუალური და ჯამური ენერგეტიკულ მახასიათებლების დადგენის თეორიული და ინსტრუმენტული მეთოდები 3.2 იცის ახალი, მშენებარე და ექსპლუატაციაში მყოფი	□			□				

	ენერგოეფექტურობაზე გავლენის მქონე, ელემენტების ენერგეტიკულ მახასიათებლებს, შენობების ენერგოეფექტურობის მინიმალურ მოთხოვნებით განსაზღვრულს, როგორც პროფესიული პროგრამული უზრუნველყოფით ასევე მის გარეშე; 3.3 ახალი, მშენებარე და ექსპლუატაციაში მყოფი შენობის გარსის შემადგენელი, ენერგოეფექტურობაზე გავლენის მქონე, ელემენტების ენერგეტიკული მახასიათებლების განსაზღვრულ მაჩვენებლებთან ან სხვა სამიზნე მაჩვენებლებთან შედარების მიზნით, აფასებს შენობის გარსის ელემენტების ენერგეტიკულ მახასიათებლებს; 3.4 განსაზღვრავს ახალი, მშენებარე და ექსპლუატაციაში მყოფი შენობის ჯამურ ენერგომომხარებას პროფესიული პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით მის გარეშე.	შენობის გარსის შემადგენელი, ენერგოეფექტურობაზე გავლენის მქონე, ელემენტების ენერგეტიკული მახასიათებლების, შენობების ენერგოეფექტურობის მინიმალურ მოთხოვნებით განსაზღვრულ მახასიათებლებთან შედარება, როგორც პროფესიული პროგრამული უზრუნველყოფით ასევე მის გარეშე; 3.3 იცის ახალი, მშენებარე და ექსპლუატაციაში მყოფი შენობის გარსის შემადგენელი, ენერგოეფექტურობაზე გავლენის მქონე, ელემენტების ენერგეტიკული მახასიათებლების განსაზღვრულ მაჩვენებლებთან ან სხვა სამიზნე მაჩვენებლებთან შედარების მიზნით, შენობის გარსის ელემენტების ენერგეტიკულ მახასიათებლების შეფასების ხერხები; 3.4 იცის ახალი, მშენებარე და ექსპლუატაციაში მყოფი							
--	--	---	--	--	--	--	--	--	--

		შენიშვნა ენერგომომხარების განსაზღვრის მეთოდები პროფესიულ პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით მის გარეშე.								
4. ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების შესაძლებლობები და ეფექტიანობა	4.1 აღწერს ენერგიის გენერაციის თანამედროვე წყაროებს (მზე, ქარი, გეოთერმული წყალი და ა.შ.) და გამოყენების შესაძლებლობებს; 4.2 აფასებს ადგილობრივად ხელმისაწვდომი განახლებადი ენერგიის პოტენციალის პირველად ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს; 4.3 გარემოსდაცვითი სტანდარტის მიხედვით, სათბურის აირების გამოყოფის შემცირების მიზნით, განსაზღვრავს პროექტების შემადგენელი ტექნიკური აღჭურვილობების საპასპორტო მონაცემებსა და საექსპლუატაციო რეჟიმებს.	4.1 იცის საქართველოში ტრადიციული და განახლებადი ენერგიის (მზე, ქარი, ბიომასა, გეოთერმული წყალი) გამოყენების შესაძლებლობების ერთმანეთთან შედარების პრინციპები. 4.2 იცის ქარის, მზისა და გეოთერმული ენერგიის გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მათი პოტენციალის შეფასების მეთოდები, სადგურის ტიპები და ოპერირების პირობები; 4.3 იცის ადგილობრივად ხელმისაწვდომი განახლებადი ენერგიის პოტენციალის პირველადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასების მეთოდები; 4.4 იცის შესაბამისი ტექნოლოგიის შესასყიდად საჭირო ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრა; 4.5 იცის სათბურის აირების გამოყოფის შემცირების	□			□				

		მიზნით, გარემოსდაცვითი სტანდარტის მიხედვით, პროექტების შემადგენელი ტექნიკური აღჭურვილობების საპასპორტო მონაცემებისა და საექსპლუატაციო რეჟიმების განსაზღვრის მეთოდები.								
5. ენერგიის სამომხმარებლო მოთხოვნების მართვა	5.1 უზრუნველყოფს საქმიანობის შესაბამისობას საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან; 5.2 ახდენს საქმიანობასთან დაკავშირებული სიახლეების მოძიებას, დამუშავებას და შენახვას, მათ შორის საინფორმაციოსა და ტექნოლოგიურს; 5.3 ენერგიის მოხმარების პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით შეიმუშავებს ღონისძიებებს ანდა მათ ერთობლიობას 5.4 აფასებს ენერგოეფექტური ღონისძიებისა და ამ ღონისძიებების გავლენას ენერგეტიკულ ინდიკატორებზე და ობიექტის მთლიან საექსპლუატაციო ციკლზე;	ცნობს საქმიანობის შესაბამის საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებს, ტექნიკურ რეგლამენტებს და სტანდარტებს ცის საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკური და ტექნოლოგიური სიახლეების მოძიება, დამუშავება და შენახვის პრინციპები, მათ შორის საინფორმაციო და ტექნოლოგიური მასალების; ცის, ენერგიის მოხმარების პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით, ღონისძიებების გეგმისა და მისი ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთების შემუშავების მეთოდები; ცის ენერგოეფექტური ღონისძიებების გავლენის დადგენის მეთოდები კუთრ ენერგეტიკულ ინდიკატორებზე და	□							

	5.5 ამზადებს შემუშავებული ინდივიდუალური ღონისძიებების ან და მათი ერთობლიობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას; 5.6 აფასებს შემუშავებული ღონისძიებების ინდივიდუალურ და ჯამურ გარემოსდაცვით შედეგებს; 5.7 განსაზღვრავს შესაბამისი ტექნოლოგიის შესასყიდად საჭირო ტექნიკურ პარამეტრებს; 5.8 ადგენს შემუშავებული ღონისძიების დანერგვისა და ზედამხედველობის გეგმას; 5.9 შეიმუშავებს განხორციელებული ღონისძიების უწყვეტი მონიტორინგისა და დადასტურების გეგმას. 5.10 ხდენს დანერგილი ღონისძიებების უწყვეტ მონიტორინგსა და ანგარიშგებას.	ობიექტის მთლიან საექსპლუატაციო ციკლზე; ცის შემუშავებული ინდივიდუალური ღონისძიებების ან და მათი ერთობლიობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გზები ცის შემუშავებული ღონისძიებების გარემოსდაცვითი შედეგების შეფასების წესი; ცნობს შესაბამისი ტექნოლოგიის შესასყიდად საჭირო ტექნიკური პარამეტრებს; ცის ღონისძიების განხორციელების და დანერგვის ზედამხედველობის გეგმის მომზადების წესები ცის განხორციელებული ღონისძიების უწყვეტი მონიტორინგისა და დადასტურების გეგმის შემუშავების, სათანადო ანგარიშგების წარმოების წესი; იცის დანერგილი ღონისძიებების უწყვეტი მონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების წესი.							
--	--	---	--	--	--	--	--	--	--

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

11

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით და მოცულობა შეადგენს 146 კრედიტს, სწავლის ხანგრძლივობაა 25 სასწავლო თვე ($24+77=101$ კვირა);

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
ინფორმაციული წიგნიერება	2		დისტანციური
პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები	2		
მეწარმეობა	4		
უცხოური ენა	3		დისტანციური
პროფესიული მოდულები			
ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ტექნიკური ნორმები	10	✓	
სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ობიექტების საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების ენერგოეფექტურობის ანალიზი და შეფასება	30	✓	
შენობების ენერგოეფექტურობა	18	✓	
ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების შესაძლებლობები და ეფექტიანობა	20	✓	
ენერგიის სამომხმარებლო მოთხოვნილების მართვა	20	✓	
პროფესიული და კარიერული განვითარება	7		დისტანციური
სულ კრედიტები - 116			

12. დამატებითი ინფორმაცია

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში და მოდულებში გაწერილ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების ასახვის შემთხვევაში სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას აქტის/აქტების განახლებული ვერსია, მიუხედავად ამავე პროგრამასა და მოდულებში არსებული ჩანაწერებისა. აგრეთვე,

სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტსა და მოდულებში, გაწერილი სამართლებრივი აქტების გარდა, შესაძლებელია, დამატებით გამოყენებულ იქნას სხვა აქტები, მათ შორის - საერთაშორისო შეთანხმებები და რეგულაციები.

12.1 სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო სტანდარტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემპის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12.2 კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. დანართი №1 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;

14. დანართი N2 -სასწავლო გეგმა;

15. დანართი N 3- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;

16. (დანართი 4-15) მოდულები.